



ბანკი & თაბარიტი

ფინანსთა უსაქმობა

გლობალური კაპიტალის ბაზრები

1Q26 მოლოდინები



იანვარი 2026




გლობალური კაპიტალის ბაზრები - 1Q26 მოლოდინები

ძირითადი მიგნებები

- მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში საპროცენტო განაკვეთები იკლებს, გრძელვადიანი ობლიგაციების სარგებელი კვლავ მაღალია. ეს ნიშნავს, რომ ინვესტორები შემოსავალს იღებენ ძირითადად ობლიგაციაზე გადახდილი პერიოდული პროცენტით (კუპონით) და არა მისი ფასის ზრდით.
- საფონდო ბაზრებზე მოგება მხოლოდ რამდენიმე დიდ კომპანიაზე აღარ კონცენტრირდება - ზრდა ნაწილდება სხვადასხვა სექტორსა და როგორც დიდ, ისე მცირე კომპანიებზე.
- ხელოვნური ინტელექტი განვითარების ახალ ეტაპზე გადადის, სადაც შემოსავალი და ზრდა უფრო მეტად დამოკიდებულია ინფრასტრუქტურაზე, მონაცემთა შენახვასა და ენერგომომარაგებაზე.
- აზიაში განსხვავებული სურათია: ჩინეთი მთავრობის მხარდამჭერ პოლიტიკას ეყრდნობა, თუმცა კვლავ უძრავი ქონების სექტორის პრობლემებს აწყდება; იაპონია კი შედარებით უკეთეს პოზიციაშია მაღალი საპროცენტო განაკვეთებისა და გაუმჯობესებული კორპორატიული მმართველობის გამო, რაც ბაზრის უფრო სტაბილურ ზრდას უწყობს ხელს.

შერჩეული აქტივების კლასების შემოსავლიანობა, YTD



წყარო: ბლუმბერგი

YTD – 31/12/2025

Silver: iShares Silver Trust (SLV); Gold: SPDR Gold Trust (GLD); Eurozone Equities: iShares MSCI Eurozone ETF (EZU); EM Equities: iShares MSCI Emerging Markets ETF (EEM); Japan Equities: iShares MSCI Japan ETF (EWJ); US Equities (small cap): Russell 2000 (RUT); Investment Grade Bonds: iShares Investment Grade Corporate Bond ETF (LQD); High Yield Bonds: iShares High Yield Corporate Bond ETF (HYG)



ობლიგაციების ბაზარი

ფედერალურმა რეზერვმა საპროცენტო განაკვეთის შემცირება 2025 წლის სექტემბერში დაიწყო და დეკემბრისთვის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 3.50%-3.75%-მდე დაიყვანა. ფედერალური რეზერვის განცხადებით, შემდგომი ნაბიჯები სრულად იქნება დამოკიდებული შემომავალ მაკროეკონომიკურ მონაცემებზე. მიუხედავად იმისა, რომ ინვესტორები 2026 წელს დამატებით შემცირებებს ელიან, აშშ-ის გრძელვადიანი სახაზინო ობლიგაციების შემოსავლიანობა ვიწრო დიაპაზონში რჩება, რაც გრძელვადიანი ობლიგაციების ფასების მკვეთრი ზრდის მოლოდინს ასუსტებს. 2026 წლის დასაწყისში შემოსავლიანობის მრუდი მოკლევადიან სეგმენტში მცირდება, ხოლო გრძელვადიან ნაწილში მაღალი შემოსავლიანობა შენარჩუნებულია.

ევროპის ცენტრალურმა ბანკმა (ECB) როგორც ეკონომიკური ზრდის, ისე ინფლაციის პროგნოზები გაზარდა, რაც 2026 წლისთვის შედარებით უფრო ოპტიმისტურ პერსპექტივაზე მიუთითებს. ECB-ის შეფასებით, საპროცენტო განაკვეთები ძირითადად უცვლელი დარჩება. ამასთან, მოსალოდნელია, რომ 2026 წელს ცენტრალური ბანკი გააგრძელებს რაოდენობრივ გამკაცრებას (quantitative tightening), რაც ფინანსურ სისტემაში ჭარბი ლიკვიდობის ეტაპობრივ შემცირებას შეუწყობს ხელს.

საინვესტიციო შესაძლებლობები

რისკი კვლავ მაღალია. ინვესტორები უნდა ფოკუსირდნენ მოკლევადიან და საშუალოვადიან ობლიგაციებზე, რათა მიიღონ სტაბილური შემოსავალი და მოგება მოკლე ვადაში. საკრედიტო პოზიციონირება უნდა დარჩეს უსაფრთხო, საინვესტიციო კლასის ობლიგაციებსა და სტაბილური აქტივებით უზრუნველყოფილ ფასიან ქაღალდებზე. უფრო მაღალი შემოსავლიანობის მისაღებად დამატებითი რისკის აღება მიზანშეწონილი არ არის, სანამ ბაზრის გარემო უფრო სტაბილური არ გახდება.


აშშ-ის სახაზინო ობლიგაციები



წყარო: ბლუმბერგი

*წყვეტილი ხაზები ასახავს პროგნოზს 2026 წლის იანვრის შემდეგ.

Fed და ECB-ის საპროცენტო განაკვეთი



წყარო: Fed, ECB



საფონდო ბაზარი

2026 წლის პირველ კვარტალში ხელოვნური ინტელექტი კვლავ აქტუალურ თემად რჩება, თუმცა კორელაციების შემცირების ფონზე ბაზრის ლიდერობა ნაკლებად კონცენტრირებულია და შედეგები უფრო არათანაბრად ნაწილდება. თუ ზრდის ადრეულ ეტაპზე მსხვილი კაპიტალიზაციის კომპანიების მცირე ჯგუფი დომინირებდა, 2026 წელს ყურადღება გადადის როტაციის რისკსა და შეფასებებს შორის განსხვავებებზე.

ამ ტენდენციის ნათელი მაგალითია 2025 წლის აგვისტო, როდესაც Russell2000 7.3%-ით გაიზარდა, მაშინ როცა Nasdaq100-ს მხოლოდ 1.5% ზრდა ჰქონდა. ეს ასახავს მცირე კაპიტალიზაციის კომპანიების უფრო მაღალ მგრძნობელობას საპროცენტო განაკვეთების მოლოდინების ცვლილების მიმართ.

სექტორებს შორის განსხვავებები კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება. 2026 წელს სამომხმარებლო ხარჯები არათანაბრად გადანაწილებულია და მაღალი შემოსავლის მქონე მომხმარებელთა მოთხოვნა შედარებით სტაბილურია. მაგალითად, Delta Air Lines-ის (DAL) პრემიუმ მგზავრობიდან მიღებული შემოსავალი წლიურად 9%-ით გაიზარდა და საერთო შემოსავლის დაახლოებით 43%-ს შეადგინა, რაც კომპანიის მარჟების სტაბილიზაციას უწყობს ხელს. ანალოგიურად, Lufthansa (LHA) 2026 წელს გრძელვადიან რეისებზე დაახლოებით 6%-იან ზრდას ელოდება.


ჯანდაცვის სექტორში 2026 წლის პერსპექტივები უფრო სტრუქტურული ხასიათისაა. მიუხედავად იმისა, რომ S&P 500-ის ჯანდაცვის სექტორი 2025 წელს 5%-ით შემცირდა, მაშინ როცა მთლიანი ბაზარი 7%-ზე მეტით გაიზარდა, სექტორის შეფასება შედარებით დაბალია (P/E - 16.2), რაც შერჩევითი ღირებულების შესაძლებლობებზე მიუთითებს. ქვესექტორებსა და ბიზნეს-მოდელებს შორის კორელაციების შემცირება ინვესტორებს უფრო აქტიურ დაკვირვებას აიძულებს.

ამასთან, კორპორაციული მმართველობის რეფორმები უფრო თვალსაჩინო ხდება, განსაკუთრებით იაპონიაში, კერძოდ, ისეთ კომპანიებში, როგორიცაა Toyota და Seven & I. ამას ემატება გარიგებების აქტივობის ზრდა, მათ შორის KKR-ისა და JIC-ის მიერ Topcon-ის შესაძენად 348 მილიარდი იენის ოდენობის შეთავაზება, რაც კორპორაციული ტრანსფორმაციის გაღრმავებაზე მიუთითებს.

საინვესტიციო შესაძლებლობები

2026 წელს ინვესტორებმა უნდა შეინარჩუნონ ძირითადი აქცენტი დივერსიფიკირებულ აქციებზე, პარალელურად კი შერჩევითად გაზარდონ პოზიციონირება საპროცენტო განაკვეთებისადმი მგრძნობიარე სეგმენტებში. ვალუაციის შეფასება კვლავ კრიტიკულად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმ სექტორებსა და კომპანიებში, სადაც ოპტიმიზმი უკვე ასახულია ფასებში.


შერჩეული აქციების მთლიანი შემოსავალი



წყარო: ბლუმბერგი

*Total return - ინვესტორის სრული მოგება აქციიდან - მოცემულ პერიოდში, ორი ფაქტორის გათვალისწინებით: აქციის ფასის ცვლილება (გაძვირება/გაიაფება) და დივიდენდები, რომლებიც ამ პერიოდში მიიღო.

შერჩეული ინდექსების ღირებულების ცვლილება



წყარო: ბლუმბერგი

*Index value - როგორ იცვლება შერჩეული აქციებისგან შედგენილი პორტფელი, სადაც თითოეულ აქციას აქვს თავისი წილი და დროთა განმავლობაში ხდება კორექტირება, იმისათვის, რომ შედეგები ერთმანეთთან შესაძლებელი იყოს.



საფონდო ბაზარი


ხელოვნური ინტელექტის განვითარების ახალ ეტაპზე ყურადღება პროგრამული უზრუნველყოფიდან და მსხვილი ტექნოლოგიური პლატფორმებიდან ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე გადადის. ეს ფაზა ინფრასტრუქტურაზე ორიენტირებულად შეიძლება შეფასდეს: 2025 წელს აღნიშნული კომპანიები ბაზრის ლიდერები იყვნენ - Sandisk-ის აქციები თითქმის 580%-ით გაიზარდა, ხოლო Western Digital-მა და Seagate-მაც 200%-ზე მეტი ზრდა დააფიქსირეს. ეს აჩვენებს, რომ AI მოდულების მასშტაბირებასთან ერთად აპარატურის ხელმისაწვდომობა ისეთივე კრიტიკული ხდება, როგორც პროგრამული უზრუნველყოფის ინოვაცია.

ენერგია კიდევ ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია. განაკვეთის ბოლო შემცირების შემდეგ, კომუნალური კომპანიების აქციები 15%-ზე მეტით გაიზარდა, მაგალითად Constellation Energy და Vistra. კორპორატიული ნაბიჯებიც ასახავს ამ ტენდენციას: GE Vernova-მ გააორმაგა დივიდენდები და გააფართოვა აქციების გამოსყიდვა, რაც ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე ენერგომომწოდებლობებზე მოთხოვნის ზრდასთან არის დაკავშირებული. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ხელოვნური ინტელექტის ელექტროენერგიის მასშტაბები ატომურ ელექტროსადგურებსაც კი საჭროებს. ამის მაგალითია Microsoft-ის გრძელვადიანი გარიგება Constellation-თან Three Mile Island-ის ერთეულის ხელახლა გაშვების შესახებ.

საინვესტიციო შესაძლებლობები

ხელოვნური ინტელექტის შემდეგი ფაზა პრაქტიკულ ინფრასტრუქტურულ მოთხოვნებზე გადადის. შენახვისა და ენერგიის მომწოდებლები ძირითადი ბენეფიციარები არიან, რადგან AI-ზე გაწეული ხარჯები რეალურ მოთხოვნად გარდაიქმნება.

შერჩეული აქციების მთლიანი შემოსავალი



წყარო: ბლუმბერგი

*Total return - ინვესტორის სრული მოგება აქციიდან - მოცემულ პერიოდში, ორი ფაქტორის გათვალისწინებით: აქციის ფასის ცვლილება (გაძვირება/გაიაფება) და დივიდენდები, რომლებიც ამ პერიოდში მიიღო.

GE VERNOVA-ს მთლიანი შემოსავალი



წყარო: ბლუმბერგი

*Total return - ინვესტორის სრული მოგება აქციიდან - მოცემულ პერიოდში, ორი ფაქტორის გათვალისწინებით: აქციის ფასის ცვლილება (გაძვირება/გაიაფება) და დივიდენდები, რომლებიც ამ პერიოდში მიიღო.



აზიის ბაზარი

2026 წელს აზიის ეკონომიკები სხვადასხვა ტრაექტორიით ვითარდება.

ჩინეთის მიზანი დაახლოებით 5%-იანი ეკონომიკური ზრდაა. მთავრობის მხრიდან ფისკალური სტიმულის გაძლიერება და მონეტარული შერბილებაა დაგეგმილი. თუმცა, უძრავი ქონების სექტორი ჯერ კიდევ არასტაბილურია, ამიტომ ეფექტი არათანაბარია.

ბაზრები მონეტარული პოლიტიკის ცვლილებებს უფრო მოკლევადიან სიგნალებად აღიქვამენ, ვიდრე მდგრადი აღდგენის ნიშნად. მაგალითად, China Vanke-ს ვალის მომსახურების მხარდაჭერის განზრახვამ 2025 წელს ჰონგ-კონგში მისი აქციების 16%-ზე მეტი ზრდა გამოიწვია. პარალელურად, Country Garden-ში 1.14 მლრდ დოლარის ვალის აქცეზად გადაქცევა მიუთითებს, რომ სექტორის ბალანსების აღდგენა წელს მიმდინარეობს.

იაპონია დეფლაციიდან გამოდის. უმსხვილესი ბანკები თითქმის ათწლეულის შემდეგ პირველად უახლოვდებიან ან აჭარბებენ ბალანსურ ღირებულებას (P/B), რაც უფრო მაღალი განაკვეთებისა და გაუმჯობესებული მომგებიანობის მოლოდინებს ასახავს.

საინვესტიციო შესაძლებლობები

ჩინეთი კვლავ ძლიერ არის დამოკიდებული სახელმწიფო ეკონომიკურ პოლიტიკაზე და ხასიათდება არასტაბილურობით, ხოლო იაპონიის დეფლაციიდან გამოსვლა და კორპორაციული მმართველობის გაძლიერება იწვევს აქტივების შეფასებების გაუმჯობესებას.


შერჩეული აქციების მთლიანი შემოსავალი



წყარო: ბლუმბერგი

*Total return - ინვესტორის სრული მოგება აქციიდან - მოცემულ პერიოდში, ორი ფაქტორის გათვალისწინებით: აქციის ფასის ცვლილება (გაძვირება/გაიაფება) და დივიდენდები, რომლებიც ამ პერიოდში მიიღო.

შერჩეული ბანკების P/B კოეფიციენტი, x



წყარო: ბლუმბერგი

*Price to Book - ასახავს, რამდენად მაღალია კომპანიის ბაზრის ფასი მის ბალანსზე ასახულ აქტივებთან შედარებით.



2026 წლის მოლოდინები

2026 წლის დასაწყისში ინვესტორები აშშ-ში საპროცენტო განაკვეთების შემცირებას ელოდნენ. მოკლევადიანი განაკვეთები იკლებს, ხოლო გრძელვადიანი განაკვეთები კვლავ მაღალი რჩება. რის შედეგადაც, ობლიგაციებიდან მიღებული შემოსავალი, ფასების ზრდაზე მეტად საპროცენტო შემოსავალზეა დამოკიდებული.

ევროპაში, გერმანიის მოკლევადიანი შემოსავლიანობის მაჩვენებელი მაღალია, რაც ცვალებად ეკონომიკურ გარემოზე მიუთითებს. შესაბამისად, გრძელვადიანი ობლიგაციების მიმართ სიფრთხილეა საჭირო.

BlackRock ნეიტრალურია ევროპის, განვითარებადი ბაზრების, დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის მიმართ, ხოლო პოზიტიურია აშშ-სა და იაპონიის მიმართ.

ობლიგაციებში ყურადღება უნდა გამახვილდეს სტაბილურ შემოსავალსა და უსაფრთხოებაზე.

ფიქსირებული შემოსავალი

შემოსავლიანობის პროგნოზები (%)

	Last	1Q26F	2Q26F	3Q26F	4Q26F
აშშ-ს ობლიგაციები					
30-year	4.72	4.72	4.68	4.66	4.67
10-year	4.15	4.11	4.10	4.09	4.11
5-year	3.66	3.65	3.61	3.61	3.61
2-year	3.51	3.44	3.37	3.33	3.32
SOFR	3.77	3.49	3.29	3.20	3.16
გერმანიის ბონდები					
10-year	2.76	2.77	2.82	2.88	2.92
2-year	2.03	2.06	2.10	2.13	2.16
EURIBOR	1.99	2.07	2.07	2.08	2.09

წყარო: ბლუმბერგი

6-12-თვიანი მოლოდინები

S&P 500 სექტორები	ETF	მოლოდინები
Financials	XLFX	Neutral
Materials	XLBM	Neutral
Energy	XLLE	Neutral
Technology	XLTX	Neutral
Consumer Staples	XLBS	Neutral
Communications	XLKX	Positive
Utilities	XLVX	Negative
Industrials	XLPM	Positive
Health Care	XLRE	Positive
Real Estate	XLUX	Negative
Consumer Discretionary	XLIX	Negative

წყარო: Charles Schwab

აქციები	ETF	მოლოდინები
US	SPY	Positive
Japan	EWJ	Positive
China	MCHI	Neutral
UK	EWU	Neutral
Emerging Markets	EEM	Neutral
Europe	IEUR	Neutral

Positive Neutral Negative

წყარო: BlackRock Investment Institute



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group-ის ("ჭაუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანიჭათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯაუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტისგან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯაუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტირების პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯაუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საუფქველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯაუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო მოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ან მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯაუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯაუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდილით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ & თაგარტი

მისამართი: 3 A. Pushkin Street, Tbilisi 0108, Georgia

ტელ: +995 32 2401 111

კვლევების დეპარტამენტი: research@gt.ge

ტელ: +995 32 2401 111 (4298)

საბროკერო დეპარტამენტი: sales@gt.ge

ტელ: +995 32 2444 132

საინვესტიციო ბანკინგის დეპარტამენტი: lb@gt.ge

ტელ: +995 32 2401 111 (7457)

ევა ბოჭორიშვილი – კვლევების დეპარტამენტის უფროსი

ელ.ფოსტა: evabochoishvili@gt.ge

ტელ: +995 32 2401 111 ext. 8036

მარიამ ნატროშვილი - კაპიტალის ბაზრების ანალიტიკოსი

ელ.ფოსტა: ma.natroshvili@gt.ge

ტელ: +995 32 2401 111 ext. 3452